საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

კვირა ივნისის 5 1921 წ.

№ 79

ფასი 200 მანეთი

რედაქციის მისამართი: დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ბიბლიოთეკა — ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალამი მეექვსე კონფერენციის ამხანაგ დელეგატებს!

## ჩვენი კონფერენცია.

დღეს გაიხსნება ჩვენი პარტიული კონფერენცია. დღეს დაისმება საკითხი ამ გაურკვეველ და მერყევ მდგომარეობიდან გამოსვლის შესახებ, რომელშიაც ჩაყო ჩვენი პარტია სამი თვის განმავლობაში, დღეს პარტიის უზენაესი ორგანო თვით აიღებს ხელში პარტიის ბედს და ზღვარს დაუდებს ყოველგვარ უკარმაღლობას ჩვენს პარტიულ ცხოვრებაში, დღეს პირველად ამ სამი თვის განმავლობაში შეიქმნება ჩვენი პარტიის წიაღში სადღაც და ობიექტიური მსჯელობის შესაძლოება და ბოლო მოეღება ყოველა იმ სიმახინჯეს და ინსინუაციების საშუალებით საკითხების გარჩევას ჩვენს პარტიულ წრეებში რომ გაისადგურა, დღეს საქმიანი მსჯელობა ადგილს დაუთმობს პირად მოსაზრებებს და პარტიულ იერარქიის საფეხურებზე ასვლა-დაწევისათვის ზრუნვის ადგილს დაიჭერს პარტიის ბრწყინვალე მომავლისათვის ზრუნვა.

განსაკუთრებულ პირობებში იკრიბება ჩვენი კონფერენცია, გრძნობათა აღტკინება ჯერ კიდევ მაღალ დონეზე სდგას და ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენა ბუნებრივად დიდ დღის დაასვამს ბოლომდე ობიექტურ პოლიტიკურ აზროვნებას. უხეირო ეროვნული პოლიტიკა დღევანდელ ხელისუფალთა, მოყვრისა და მტრის გარჩევის სიძნელე მათი ერთსადა იმავე ფერით შეღებვის გამო, სასოწარკვეთილება რომელშიაც იმყოფება ერი და ეროვნული დეპრესია, როგორც შედეგი უსწორო ბრძოლაში დამარცხებისა—ყველა ეს არ ქმნის მაინცა და მაინც ხელსაყრელ პირობებს პარტიულ კონფერენციის მუშაობისათვის მიუხედავად ამისა, თუ პარტიას სურს იყოს დღევანდელ პირობებშიაც მომქმედ ძალათ, თუ ის ფიქრობს რომ ეროვნულ პარტიას სწორედ დღეს აქვს ბევრი რამ გასაკეთებელი, რომ სწორედ დღეს, როდესაც „ნებით ისტორიისა" ჩვენს პატარა ქვეყანას ყოველ მხრივ საშიშისწერო პერსპექტივები ეშლება, სწორედ ეროვნულმა თავის რწმენით, შეგნებით, პრინციპით და არა ტაქტიკურის მოსაზრებით, როგორც ამას გუშინ სჩადიოდნენ მენშევიკები და დღეს სჩადიან ბოლშევიკები ვიმეორებთ სწორედ ჩვენმა პარტიამ უნდა ასწიოს თავისი დროშა რაც შეიძლება მაღლა დაინ, მიუხედავად მდგომარეობის სირთულისა სწორი და გარკვეული გზა გამონახება ქართველ მშრომელ მასის საკეთილდღეოდ.

რა მიმართულებაც არ უნდა მიიღოს მსჯელობამ და კამათმა კონფერენციაზე, ერთი რამ მაინც ურყევი უნდა დარჩეს: სოც.-ფედერალისტთა პარტიის სრული დამოუკიდებლობა იდეოლოგიასა და პოლიტიკურ პრინციპების საკითხში. ის, რაც სხვებმა მხოლოდ დღეს ისწავლეს—ჩვენმა პარტიამ იცის აგერ საუკუნის მეოთხედია. ჩვენი იდეური ციხე-სიმაგრე დღესაც ისეთი უნდა დარჩეს როგორიც იყო გუშინ და თუ მიუხედავად ჩვენი რიცხვობრივი სიმცირისა გუშინ ჩვენ წესიერებისკენ მოუწოდებდით მენშევიკებს, დღეს, თუ ეს საჭირო შეიქნება, შევსძლებთ იგივე უთხრათ ბოლშევიკებსაც ფედერალიზმი და სოციალიზაცია ეს ჩვენი საარსებო ძველი ლოზუნგია და დღესაც როდესაც სხვები ასო ასოთ ძლივს კითხულობენ ამ ორ პრინციპს ჩვენთვის იგი სისხლია და ხორცი. ეს გარემოება ერთს რასმე კიდევ გვავალებს ჩვენი ნაცადი პარტიული დროშა ოდნავადაც არ საჭიროებს დღევანდელ ხელის უფალთა წინ დახრას, როგორც არ საჭიროებდა დახრას გუშინდელ ხელისუფალთა წინაშე.

შ. ნ.

## ფურცლები

35.

### კონფერენციის საქმე.

მთელი ქართველი ხალხი, ჩვენი ერის ყველა ძალა, სხვა და სხვა ერის ყველა ძალა გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ჩვენი პარტიის დღევანდელს მუშაობას.

ჩვენი პარტიული კონფერენცია არა თუ პირველი დიდი მოვლენაა საქართველოში მომქმედ არა ბატონი, არალეგალური პოლიტიკური პარტიების ცხოვრებაში, არა, ეს დიდი მოვლენაა საზოგადოდ ყველა პარტიებისათვის. კომუნისტურმა პარტიამაც ვერ შესძლო ჯერ ჯეროვნით სრულიად საქართველოს პარტიული ყრილობის მოწვევა.

რას იტყვის ჩვენი კონფერენცია? შეიძლება ერთი რამ გადაჭრილად ვსთქვათ: ჩვენი პარტიის ნაბიჯის გამორკვევისათვის უდიდესი მნიშვნელობა იმ ფაქტს აქვს, რომ თითქმის ყველა ქართულმა პარტიამ მიიღო საბჭოთა წყობილების პრინციპი. ამით ჩვენი კონფერენციის მუშაობა ძალიან გაადვილებულია. რუბიკონი გადალახულია. თვით ამ სისტემის აღიარება მოასწავებს პროლეტარიატის დიქტატურის იდეის ცნობას, ესე იგი მთელი თანამედროვე მომენტის შეფასებას, როგორც რევოლიუციონური პროცესისა. ეს დიდი გადატეხაა ჩვენს საზოგადოებრივს აზროვნობაში.

შეიძლება ყველა ეს ნაბიჯი ქართული პოლიტიკური პარტიებისა დიდი მასალაა [illegible]ისათვის, მაგრამ მომოსის გესლებს ჩვენ თავს არ დაუხრით და ანს ბანს მივსცემთ, შემდეგ განს და საფეხებით გამოვსახავთ ჩვენს პოლიტიკურ სახეობას.

ჩვენს პარტიას ჭეშმარიტად შეუძლია განსაკუთრებული როლის თამაში ჩვენს ცხოვრებაში. საჭიროა მუდამ გახსოვდეთ ჩვენი პარტიის მთელი ისტორია, მისი სიცოცხლე, მიზანი, მრწამსი, შეინახოთ ყოველივე ეს წმინდად, არ გარყვნათ იგი შემთხვევითი მოვლენებით და თქვენ მუდამ მოგცემსთ ჩვენი პარტიის დოქტრინა ცხოველმყოფელს სხივებს კეთილშობილი მუშაობისათვის.

ჩვენს პარტიაში ფიგურალურად მთელი საქართველოს იდეა, საქართველოს მთელი ისტორია და ზნეობაა გამოხატული. ეს პატარა ქვეყანა, პატარა ერი ესოდენ თვალის მომჭრელი მსოფლიოს ყველა [illegible]სათვის, რომლის ისტორია დიდი დრამაა თავდაცვისა, მუდამ ჩაგვრაა სოიცარი მასშტაბი, ესე იგი ერი, რომლის ისტორია მარტიროლოგია საფლავებით—აი ამ დაჩაგრულ ქვეყნის პირველი ეროვნული პარტიის დროშას აწერია—სოციალ ფედერალიზმი. მხოლოდ ისტორიულად თავისუფალ შინაგანი განცდებით ამას ყოველ მძულვარებას მოკლებულ ერის სულს შეეძლო ეროვნული სიტყვა წარმოეთქვა და იგი სიტყვა იმ ჰუმანიურ, უმდრეკად სოციალისტური და ინტერნაციონალური ხასიათის პარტიის შექმნით გამოხატულიყო, როგორც არის ჩვენი პარტია.

დედამიწის ზურგზე ჩვენი პარტია უნიკუმია, მონადაა [illegible] ერთის პარტიას [illegible] ინსტიტუციურად ესოდენ გარკვევით არ გამოუხატავს მთელი მსოფლმხედველობა თანამედროვე მომენტისა ოცდახუთი წლის წინად, როგორც ეს მოახდინა ჩვენი პარტიის არჩილებმა, გიორგებმა, გიგოებმა და სხვებმა.

აიღეთ ბუმბერაზი, ოთხ მილიონიანი გერმანული სოციალ-დემოკრატია. პარტია იმ ხალხისა, რომელიც პირჯვარ იწერს მესიურ ჰანგზე: „გერმანელი ყოვლის უწინარეს"—აი ეს განთქმული დისციპლინის ოთხმილიონიანი პარტია შტუტგარდტის VII კონგრესის და ესსენის პარტეიტაგის წინ ორჭოფულ აზრების გამო მიწასთან გასწორებული გამოდგა, როგორც კი სასტიკმა ისტორიამ იგი პარტია დააყენა საბედისწერო 1914 წლის 4 აგვისტოს აქტის წინაშე. გერმანულ სოციალ-დემოკრატიის სოლიდარობის იდეა, ინტერნაციონალური პრინციპები, დიდი მარქსის, ენგელსის, ლასალის, ლიბკნეხტის, ბებელის კაუცკის იდეოლოგიური სახეები შეიდება მაგ ნარევს სანახევბათ ჰააზეს, შეიდემანის და შემდეგ ნოსკესი. სად არის, სად იყო ამ ბუმბერაზ პარტიის ინტერნაციონალი, რომლითაც ყურს გვიჭედნენ მარქსისტები?

ჩვენს პარტიას, რომელსაც დღესაც ბევრი შოვინიზმს სწამებს, არასოდეს ახასიათებდა ეს პრინციპი. ჩვენს პარტიაში აღმოჩნდა გაცილებით მეტი იდეური კაუცკები და ბებელები თავისი ინტერნაციონალური სულისკვეთებით და გაცილებით ნაკლები ნოსკეები და ჰააზები თავის შოვინიზმით. ჩვენ იმისათვის არ მიგვიყიდია არც ერთი დებულება ჩვენი ფედერალიზმისა და დღესაც, როდესაც ჩვენი პატარა ქვეყნის წინაშე კვლავ ინტერნაციონალის საკითხი სდგას, ჩვენ დღესაც იქ ვართ, სადაც მუდამ ვიყავით: ნაციონალური დროშით ინტერნაციონალის ოჯახში.

განსჭვრიტეთ თქვენ ისტორიულის თვალსაზრის თ ის შემთხვევა, რაც ფაქტია დღეს. დეტერმინიზმით განიხილეთ ფაქტი ჩვენი კონფერენციის არსებობისა ამ წუთს. ეს ასე უნდა მომხდარიყო უეჭველად და თუ ეს არის იმიტომ, რომ პარტიის მესაჭეთა როლი, პოლიტიკა მართალია და სწორი: ქართველი ერი მუდამ უნდა ხედავდეს ჩვენს პარტიაში იმ სპეტიკ ძალას, რომელიც სამარადისო დარაჯია საქართველოსი და ამავე დროს მეზობელი ერი და სხვა სახელმწიფო ჩვენს პარტიას, როგორც საქართველოს სახეს, უნდა ხედავდეს, როგორც თავის ამხანაგს, მეგობარს და მოკავშირეს. ეს არის კვინტესენცია ჩვენი პარტიის: ნაციით ინტერნაციონალისაკენ ესე იგი ფედერალიზმი.

დიახ, მთელს ჩვენს შემეცნებაში გაცილებით მეტი ინტერნაციონალიზმია (და არა კოსმოპოლიტიზმი) ვიდრე იმ პარტიათა შორის, სადაც ძალიან ბევრს ყვირიან ინტერნაციონალზე და სწორედ ეს გარემოება ისტორიულად იმ ფაქტში გამოიხატა, რომ პარტიის ამ სადმა პრინციპმა პარტიას ძალა მისცა, სიცოცხლის აზრი და ყველა კრიტიკულს მომენტში ის გარედ გამოსულია ერის უფლებათა დასაცავად.

რა თქმა უნდა, პარტიულს შემეცნებაში მესიური ელემენტები სრულიად ისე არ შეგვაქვს, როგორც ტრეიჩკეს, განზემანს ან თუნდაც ადმირალ ტირპიცს გერმანელთა შემეცნებაში, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან ის არ აღვნიშნოთ, რაც ჩვენი პარტიის მთელს სისტემას ახასიათებს. ფედერალიზმის გადმოტანა სოციალისტურს ნიადაგზე. ეს სინთეზისი სოციალიზმისა და ფედერალიზმისა მხოლოდ ჩვენი პარტიის შემქნილია შორსმჭვრეტელობის ნაყოფია და ეს უდიდესი ალლო მთელი მეოცე საუკუნის აზროვნობისა დღეს ჩირაღდანია ჩვენი ყოველდღიური მუშაობისა.

ეს სოციალისტური ნიადაგი სავსებით არკვევს ჩვენს ძირითად საკითხს—ორიენტაციას. თუ საბჭოთა სისტემა რევოლიუციონურ პროცესის შემეცნებაა, სოციალისტური ჩვენი პლატფორმა საზოგადოდ გვრაზმავს ლოიდ ჯორჯის და ბრიანის წინააღმდეგ იმ მწკრივში სადაც იარაღით ხელში სდგას ლენინი, ბომბაჩი, მაკმანუსი, პესტანია და სხ.

ჩვენმა პარტიამ იცის ბრძოლა საერთო მტრის—იმპერიალიზმის—წინააღმდეგ, მაგრამ საერთო მწკრივში ის თავის სიტყვასაც ამბობს თავის სამშობლოს სასარგებლოდ, ისე რომ საერთო ბრძოლას იოტის ოდნავ არ მოაკლოს ბრძოლის ხალისი. ამიტომაა ჩვენ არაფერი გვწამს იმ გოგიბერიძესი, რომელსაც ვენაში ხელი მიუცია აბრამოვიჩესათვის, მარტოვიჩისათვის, ადლერისათვის და მოშორებია მეორე ინტერნაციონალს, არ დაახლოვებია არც მესამე ინტერნაციონალს და მოძრაობს, როგორც პროტოპლაზმა.

პარტიის ცოცხალი ძალა პროტოპლაზმას იდეას ვერასოდეს შეურიგდება თუნდაც იგი გახვიონ მეტად მომხიბლველ სურსათებში. ჩვენს პარტიას მუდამ გარკვეული ხაზი ქონდა, მტკიცე და გარკვეული მსოფლმხედველობა. ეს გვაძლევს ჩვენ ბრძოლის ენერგიას, იგი ამტკიცებს ჩვენს სიცოცხლეს, იგი საწინდარია ქართველს ერში ეროვნული და სოციალისტური სულისა და ამიტომ ჩვენი კონფერენციის ამხანაგებს ვეუბნებით—გამარჯვება თქვენი ძმებო, ხელში ავიღოთ ისტორიული ჩვენი შუბი ხოლო სოციალიზმით, ერით და ერებით საბოლოო განსასვენებელი ადგილი მიუჩინოთ პირველის, მეორეს და მესამეს ბატონს...

თედო ღლონტი.

## პარტიული კონფერენცია.

დღევანდელი საგანგებო კონფერენცია იკრიბება ჩვენი პარტიისა და ქვეყნისათვის ფრიად მნიშვნელოვანს მომენტში განსაკუთრებით პარტიისათვის მეტად რთული და სერიოზული მდგომარეობის დროს.

ჩვეულებრივი, მორიგი კონფერენციების მუშაობა თითქმის ყოველთვის დამშვიდებულის გრძობით, დაკვირვებით და აუჩქარებელის ნაბიჯით მიმდინარეობდა. მართალია, ხან და ხან თავს იჩენდა ესა თუ ის ოპოზიციონური მიმართულება, რომელსაც მეტი სიცოცხლე და მოძრაობა შეჰქონდა კონფერენციის საქმიანობაში, მაგრამ მოურიგებელს, მნიშვნელოვანს გამწვავებამდე საქმე არასოდეს არ მისულა.

იმ ატმოსფერის მიხედვით, რომელიც დღეს ჩვენს პარტიასა და მის გარშემო არსებობს, შესაძლებელია დღევანდელმა კონფერენციამ ერთი უდიდესი მომენტი შეჰქმნას პარტიულ ცხოვრების ისტორიაში.

ვინც ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში (კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ) თვალყურს ადევნებს ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, განსაკუთრებით, ჩვენი პარტიის მოქმედებას, ის უეჭველია ნათლად დაინახავდა ამ პარტიის ხელმძღვანელთა ორი ჯგუფის ურთიერთ დამოკიდებულებას.

ტფილისში კომუნისტური მთავრობის შემოსვლის დროს შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენი პარტიის ერთმა ჯგუფმა აუცილებელ საჭიროებად დაინახა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩარევა. ორგანიზაციული მუშაობის საწარმოებლად საჭირო გახდა თვით ლეგალური ორგანოს შექმნა, რომელიც კიდევაც შესდგა თებერვლის უკანასკნელს დღეებში, ხოლო შემდეგ მარტის შუა რიცხვებიდან, ამ ახალმა ორგანომ—დროებითმა მთავარმა კომიტეტმა უფრო ნათელი და გარკვეული სახე მიიღო, როგორც თავისი შემადგენლობით, ისე თეორიულ-პრაქტიკული მოქმედებით.

ეს ახალი მუშაობა, ახალი პირობებისა და მებრძოლ ძალთა განწყობილების მიხედვით, ყოველთვის არ იყო მთავარი კომიტეტის აზრის გამომხატველი და თვით პარტიის ფართო მასსებშიც იწვევდა და დღესაც იწვევს გაუგებრობას და ხშირად მწვავე უკმაყოფილებასაც ბადებს.

ასეთი მდგომარეობის დიდხანს გაგრძელება და მისი მ[illegible]თმენა ორივე ზანაკისათვის შეუძლებელი გახდა. ამიტომ მთავარმა და დროებითმა კომიტეტებმა

გადასწყვიტეს, პარტიული უზენაესი ორგანოს, კონფერენციის მოწვევა, რომელმაც უნდა ბოლო მოუღოს ორივე მხრივ რყევა-გაუგებრობას, აირჩიოს ახალი მთავარი კომიტეტი და მისცეს მას სასტიკად გარკვეული გეზმა და ფრიად ნათელი და განჭვრეტილი დირექტივები პარტიის მიზნის შეწონილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ჩვენთვის, ტფილისელ ამხანაგებისათვის, ვინც უფრო ახლოს ვდგევართ დროებითსა და მთავარ კომიტეტებთან, შედარებით საკმაოდ გამორკვეულია ამ ორი მიმართულების გეზი და ხასიათის მათი პოზიცია და ოპოზიცია. ვფიქრობ, ესევე არ ითქმის პროვინციასა და იქაურს დელეგატებზე ცალკე, მით უმეტეს, რომ გაზეთების იმინი ძლიერ არანორმალურად ღებულობენ და სხვაგვარი სწორი ინფორმაცია კიდევ ძლიერ ძნელია. პროვინციელთათვის ეს საკითხები საკმაოდ დიდი ბურუსით უნდა იყოს მოცული და ამიტომ მოითხოვს მეტს განმარტებას, მეტს გარკვევას და სინათლეს.

კონფერენციამ სრულის სიმშვიდით დარბაისლურის სიდინჯით უნდა აწონდასწონოს ჩვენი დღევანდელი მომენტი, მოსალოდნელი ამბები, სისწორით შეაფასოს დროებითი კომიტეტის მოქმედება, ანიშნოს მასში დადებითი და უარყოფითი მხარეები, პარტიისათვის მისაღები და მიუღებელი ელემენტები, დაჰგმოს და დაიწუნოს ერთი, მოიწონოს და მიიღოს მეორე, რომ ამით გაჰფანტოს ჩვენს პარტიაში არსებული მძიმე ატმოსფერა, მისპოს პარტიის დამამცირებელ-გამთიშველი ძალა-ფაქტორები და დააყენოს პარტია იმ სწორსა და უტყუარს ხაზზე, რომლის საშუალებითაც ის ასე ენერგიულად, ასე იავ განწირულით, და ასე ნაყოფიერად ემსახურებოდა აბ ოცი წლის განმავლობაში სამშობლოს განთავისუფლებას და სოციალიზმის საქმეს.

გაუმარჯოს ჩვენს მეექვსე თავისუფალს კონფერენციას და უსურვებთ მას ნაყოფიერს მუშაობას.

გ. მუმბურიძე.

# რას მოველით კონფერენციისაგან?

კონფერენციისაგან ჩვენ დღეს, ამ რთულ და სერიოზულ მომენტში, ერთის მაინც გადაჭრით და საბოლოო მოველით: იგი უნდა იქნეს პოლიტიკური გაუქმაცობით აღჭურვილი, ყოველი ორთაიხისაგან თავისუფალი, პირწმინდა და გადამჭრელი ბოლოს ბოლოები.

პოლიტიკური ვაჟკაცობა მას სჭირია იმისათვის, რომ მან მრავალი წარსული პარტიულ მუშაობის ღირებულებანი გადააფასოს, შესაფერი დასკვნები გამოიტანოს და ამის მიხედვით პარტიას არ დაუკარგოს ის ეროვნულ-სოციალისტური ჩირაღდანი, რომელიც ნებითა ისტორიისა ძას დაკისრებული აქვს.

მოკლედ რომ ვსთქვათ, კონფერენციამ ახალი და ცხოველმყოფელი დებულებები უნდა შეიმუშაოს მომენტზე და ტაქტიკაზე.

და ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი საკმაოდ გაბედული და ვაჟკაცი უნდა აღმოჩნდეს ცხოვრებისაგან უკვე ,დაძველებული ძახტიის გადასაგდებათ. უკეთ რომ გამოვსთქვათ: კონფერენციას სჭირია ლოდნის მოკრება და ნების ყოფის გამოჩენა თვით კრიტიკისათვის უმაღვ-რესად.

ამხანაგებმა იციან თუ რას ნიშნავს თვით კრიტიკა. იგი შედეგია მხოლოდ მაძაცი აზროვნებისა, გულადი პოლიტიკისა, თვით კრიტიკა ყველას ყოველივე ჯგუფს არ შეუძლია. ჩვეულებრივ პაროლებში ჩვეულებრივ ადამიანებს და ჯგუფებს უჭირთ თავის ნაკლებზე სიტყვის ჩამოგდება, თავის მოქმედებათა უარყოფის თავი ეხების ხაზის გასმა, ყველასთვის დასახახად გამოკიდება.

აქ მოქმედებს, როგორც თავმოყვარეობა ჯგუფთა, თუ პიროვნებათა, აგრეთვე ის მთავარი თვისება, რომელიც შეადგენს ბუნებას მომქმედი სუბიექტისას: ეს თვისება ბუნებრივი კონსერვატიზმია, რომელიც ერთნაირად ახასიათებს, როგორც ცალკე ადამიანს ადამიანს, აგრეთვე მის შეჯგუფებას—კოლექტივს, კერძოთ კი პარტიებსაც.

პარტიასაც უძნელდება იმ ჭურჭლის გაგანიერება ახალი ცხოვრების იმპერატივებით, რომლითაც იფარგლებოდა მისი მუშაობის არე წარსულში.

მაგრამ ისე, როგორც პიროვნებას, პარტიასაც აქვს მეორე ბუნება, მეორე ჩანასახი, ზრდისთვის განწყობილი, მომავლის მოწყურნე და წარსულის მსახვრელად შემვიწროებელი.

თუ ეს ჩანასახი ძირშივე მოკვდა, კვდება პარტიის აწმყო და მომავალიც და მხოლოდ პოლიტიკური მუზეუმის გალერეის განძი გახდება ასეთი პარტია.

მართალია ჩვენ ვიცით ისტორიაში, ჩვენ დღევანდელ ცხოვრებაშიაც უამრავი ფაქტები პარტიათა გადაშენებისა, როცა ამ რთულ მშობიარობის პროცესს—კონსერვატიზმისა და პროგრესის ბრძოლას, ვერ იტანენ და კვდებიან.

მაგრამ ჩვენს წინ ყოველ-დღიური ცხოვრებიდან ამოკრებილი აურაცხელი ფაქტებიც აწყვია ამ მშობიარობისაგან პარტიების გაჯანსაღებული გამოსვლისა.

ვინ იტყვის, რომ ამირანის ძლევამოსილებითა და ბორკილების დამტვრეველის ძლიერებით არ იყურება ის პარტიები ევროპაში, რომელიც წარმოშვა უკანასკნელი წლების პროლეტარიატის ისტორიამ. დიდი ტკივილების კანცდა, დიდი პოლიტიკური ვაჟკაცობა იყო საჭირო ევროპის პროლეტარიატისათვის იმისათვის, რომ თავს მოეგლიჯათ მეორე ინტერნაციონალის დაძველებული ქუდი და თავს დაედგათ სისხლის მძივებით ნაქარგი თავსახური მესამე ინტერნაციონალისა.

ეს გზა მსხვერპლი დაჯდა, მსხვერპლს მოითხოვს ზღვარ-დაუდებელს მომავალშიაც ამ პარტიებისაგან, მაგრამ ვინ იტყვის, რომ მათ ცხოველმყოფელობის წინაშე არ კრთის სიკვდილის კარზე მდგომი კაპიტალისტური სამყარო?

რიცხვით მცირეოდენნი, მომავლის პარტიები ცხელების შიშს ჰგვრიან მრავალრიცხოვანსა და გარეგნულად ძლიერს, მაგრამ წარსულის პარტიებს.

ასეთია სოციალური ცხოვრების კანონი, მისი ულმობელობა.

თორემ ხომ ვიცით მენშევიკური მაგალითი. მენშევიკებმა სრულიად მოსპეს თვით კრიტიკა, დაკარგეს პოლიტიკური გამბედაობა თავისი თავის პრაქტიკულ-თეორიულათ გაცხრილვისა და მივიდეთ დაყმაყებული—სქოლასტიური ჯგუფი, რომელიც ვერ ხედავდა თუ როგორ იქცეოდა ქვეყანა.—ყველაფერი წესსზე არის, გაიძახოდა რამიშვილი,—ყველაფერი წარმტაცით მიეწყო, უდასტურებდა პარტიული ხორი და ეს თვითონაც დაიჯერეს ბოლოს. მოლაას ზღაპარი სწორედ მათზე გამართლდა: ფლავს არიგებენო მოიტყუა მოლამ და ბოლოს თვითონაც დაიჯერა და სხვებს თან გამოეკიდა.

მენშევიკებისაგან დემოკრატიის ხაზის გამრუდებაში ჩვენი პარტიის ხელმძღვანელთა უმრავლესობასაც მიუძღვის ბრალი.

დანიის სამთავროში ყველაფერი წესიერად არისო, ამტკიცებენ პარტიული ქანით გატაცებულნი მენშევიკები; ჩვენი პარტიის ხელმძღვანელნი უკბილო კრიტიკით მათ თანხმობის ნიშნით თავს უქნევდენ და განმეორდა ბოლოს ზღაპარი: მენშევიკებმაც დაიჯერეს თავიანთი ეჭვის ბრძნული სახელმწიფოებრივ-სოციალისტური შინაარსი; ხმის ამოღებასაც უშლიდენ უკმაყოფილო ელემენტებს თავის პარტიაში. შეიქმნა პარტიული ავტორიტეტები, ფეტიშები და მოკვდა დემოკრატიის ნამდვილი ხმა იქ, სადაც ერთ დროს დემოკრატია რევოლიუციურ ძლიერობას იჩენდა.

გადაშენდა მენშევიკური პარტია მხოლოდ იმიტომ, რომ მან დაკარგა ვაჟკაცობა თვით კრიტიკისა.

მოკვდა მენშევიზმი რადგან მან პოლიტიკური გმირობა ვერ გამოიჩინა იმისათვის, რომ უარი ეთქვა ერთხელ მიღებული ბურჟუაზია—ანტანტის ორიენტაციაზე იგი დამარცხდა...

დავმარცხდებით ჩვენც, თუ არ შევიგნებთ სოციალური განვითარების ამ ულმობელ კანონს და გამოვიჩენთ ნაკლებ სიმხდალეს ჩვენი თავის კრიტიკის დროს.

პარტიული დაყმაყებულ-სქოლასტიური ატმოსფერისგან უნდა განთავისუფლებულ ვიქნეთ ერთხელ და საბოლოოდ.

მაგრამ ამისთვის არ კმარა მარტო რეზოლიუციების გამოტანა და სხვ. და სხვა დეკლარაციები. საჭიროა რეზოლიუციას შეესაბამებოდეს მისი ხორცშესხმელი ორგანოებიც პარტიაში: თორემ ჩვენ არა ერთხელ დავრწმუნებივართ წარსულს ამ ჭეშმარიტების აშკარად აგდებაში.

რეზოლიუცია ერის ამბობდა, ხელმძღვანელი ორგანოები მეორე გზით მიიმართებოდნენ. ეს ასე ევროპაშიაც ხდება. რას შვრება ტურატი, სერატი, ლევი და სხვანი.

თავი კომუნისტებად მიაჩნდ, სამმისო რეზოლიუციებიც გამოაქვთ, მაგრამ ძალიან ცოტაა მათში კომუნისტური და სოციალისტური, როცა ეს კომუნიზმი და სოციალიზმი ნათქვამის განადდებას მოითხოვს.

მაშასადამე არ კმარა მარტო რეზოლიუციის მიღება, საჭიროა პარტიის შემადგენლობაც და მისი ორგანოებიც გამოხატავდნენ ამ რეზოლიუციას.

ჩვენს წინ სდგება საკითხი პარტიის განწმენდისა.

თუ პოლიტიკური ენერგია სჭირია თვით კრიტიკას, არა ნაკლები გაბედულება დაგვჭირდება პარტიის განწმენდის დროს.

ამრიგად ერთ გადადგმულ ნაბიჯს, თან უნდა მოყვეს მეორეც.

თვით კრიტიკა და თვით განწმენდა, აი რას მოველით ჩვენ პარტიულ კონფერენციისაგან, აი რა პოლიტიკური სიმწიფე უნდა გამოიჩინოს მან, რომ თვისი დანიშნულება შეასრულოს.

და თუ კონფერენცია ამას ჩაიდენს, ის დაინახავს, თუ რაოდენ გამოძახილს ჰპოვებს მისი მართალი ხმა დადარული მშრომელის გულში.

მაშ განვეახლოთ განსაწმენდათ!

წინ მტკიცედ და შეურყევლად ბრძოლისა შვილნო!

ყოყმანობა შორს! ერთი გარკვეული გზა და ერთი მშრომელი ხალხი იყოს ჩვენი ბრძოლის ამოცანა.

ეფ. ზარგუნაშვილი.

# მუშათა წერილები

## ჩვენი კონფერენცია.

ჩვენი კონფერენციის მოწვევას სულის სწრაფვით და გულის ძგერით მოელიან არა მარტო ჩვენი პარტიული წევრები და ამხანაგები, არამედ ბევრი სხვა რევოლიუციონური პარტიები, ჯგუფები და მასთან მთელი ქართველი ხალხი და ეს ბუნებრივიც არის. ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში მოხდა ჩვენი თანამედროვე ცხოვრების და კანონმდებლობის შინაარსში დიდი ცვლილებები გადაიშალა ჩვენს წინაშე ახალი პერსპექტივები და ვინ უნდა სთქვას დღეს ქართველი ერის სახელით სიტყვა, ვინ უნდა გასცეს წამოჭრილ ერის ახალ ცხოვრებაში დიდ და კარდინალურ საკითხებს პასუხი, თუ არა იმ პარტიის ბელადებმა, რომელნიც მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში დამონებულ საქართველოს ხალხს დარაჯად უდგნენ, ეროვნულ საკითხის გარშემო ტრიალებდნენ და ერის სამსხვერპლოს საუკეთესო შვილებს სწირავდნენ და დღესაც ქართველ გმირთა სისხლში ამოვლებული ეროვნული დროშა ამაყად მაღლა უჭირავთ, რომელზედაც იმავე სისხლის ასოებით სწერია „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, გაუმარჯოს მსოფლიო ფედერაციას—გაუმარჯოს სოციალიზმს!"

დიახ, ჩვენი ერის ცხოვრებაში ეროვნულად გამარჯვებულმა მიმდინარეობამ, ჩვენმა პარტიამ, ჩვენი გმირი ხალხის ნამდვილმა მესვეურმა, როგორც გამოცდილმა მოღვაწეებმა ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებისა—უნდა ერთხელ კიდევ სთქვას მაგარი სიტყვა გამომდინარე ქართველი ხალხის ნების ყოფიდან.

ჩვენს პარტიაში არის დაგროვილი სიმდიდრე დიდი აზრისა, ენერგიისა, ცოდნისა, გამოცდილებისა და ყოველივე ეს ქართველი ხალხის ცხოვრებაში და ჩვენი პარტიის ისტორიაში ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი.

ამ რწმენით, ამ თვალსაზრისიდან გამომდინარეთ დრამდე გვწამს, რომ ყოველი დელეგატი, როგორც ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილი პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების შემოქმედი, როგორც თავისუფალი შვილი თავისუფალი საქართველოსი, სულით გაწმენდილი და ამაღლებული გონებით მახვილი—დინჯად, პოლიტიკურის ანგარიშით და მომენტის ალღოთი წარსდგება საკრებულოში—კონფერენციისა წინაშე და სთქვას ნათელი და ჭეშმარიტი სიტყვა იმაზე, რასაც ყოველ ჩვენგანს გვიკარნახებს ბედი ქართველი ხალხისა.

თუ ოდესმე ჩვენს პარტიაში ალაგი ჰქონია უმოქმედობას, პასივობას, უბრალოდ დროის დაკარგვას და ვიწრო პარტიულ ინტერესებს—ამიერიდან ეს ცინიზმი ავადმყოფობა და პირადი თავმოყვარეობა უნდა შეიცვალოს გაათკეცებული ენერგიული საქმიანობით და აქტიური მოქმედებით. უნდა მოხდეს პარტიაში გარდაქმნა-გადახალისება ახალი ცხოვრების თვალსაზრისის მიხედვით. უნდა მოიმართოს ნამდვილი რევოლიუციური აპარატი პარტიულ ცხოვრებაში, რადგანაც ამას გვიკარნახებს თანამედროვე მომენტი და ინტერესი ქართველი ხალხის აწმყო და მომავალი ცხოვრებისა.

დაე მტვრად იქცეს და დავიწყებას მიეცეს ყოველი ნიკლი წარსულისა და მომავალი დიდი საქმე ერისა და პარტიული ცხოვრებისა შეიქმნეს ცხოველმყოფელი.

ეს დამოკიდებულია სავსებით პარტიის მე-ექვსეთავისუფალკონფერენციაზე ამას ის შესძლებს იმიტომ, რომ ამის თავმდებია გაშლარავებული დროშა-სიმბოლო ჩვენი ტანჯული ერისა და მშრომელი დემოკრატიისა.

ჩვენ, დიდი არჩილის მოწაფეები, ქართველი ფედერალისტი მუშები, რომელნიც თვით არჩილის სიცოცხლის დროსვე მის გარშემო ვიყრიდით თავს ამ დიდ ადამიანთან, ჩვენ ორი მცნება გვაკავშირებდა მხოლოდ—ერი და ხოციალიზმი და ამისათვის ჩვენ, ჩვენს მოძღვართან ერთად გვდევნეს,გვაწამეს...

მაგრამ ისტორიამ და ჩვენმა ერმა ერთა ვითარებაში იზიარა და მიიღო დიდი მცნება დიდი ქართველისა;—მან აირჩია ჭეშმარიტი გზა ეკლით ნაკ ფიდატანჯული პიროვნების არჩილ ჯორჯაძისა და დღეს, რთდესაც ჩვენ ამ განცდის პროცეში ვიმყოფებით, ჩვენმა პარტიამ საზოგადოდ და კერძოდ დღევანდელმა კონფერენციამ ამ დიდ მოვლენას დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს.

გაუმარჯოს ქართველი ერის დამოუკიდებლობას!

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას.

სალამი კონფერენციას.

სალამი პარტიის ბელადებს.

მუშა დ. მელია.

# დიდი საქმე და ჩვენი კონფერენცია

მეექვსე კონფერენციის გახსნისას ჩვენს წინაშე „კრასნი ვოინმა" მეტად დიდი საკითხი წამოაყენა. ეს საკითხი გახლავთ კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია.

პრაქტიკულ საკითხთა შორის მრავალი საკითხია, რომელსაც ჩვენ დიდ ყურადღებას მივაქცევთ. აქ მხოლოდ ზოგიერთს აღვნიშნავთ.

კავკასიის ფედერაციის შესახებ-ჩვენ ვიცით—უკვე მუშაობა სწარმოებს მოსკოვის წრეებში. ამ ჟამად ეს საკითხი პრესაშიაც გადმოტანილია მოქ. სოლოვიოვის წერილის სახით.

ფედერაციის საკითხი ჩვენთვის ძველის ძველი და უმთავრესი საკითხია. ჩვენი პარტიის არც ერთ კონფერენციას არ შეუსუსტებია ეს მთავარი ბოძი ჩვენი მსოფლმხედველობისა, მაგრამ ფედერაციის საკითხი არც ისე პაწია საკითხია, რომ ვისაც კი რაიმე გაუგონია ფედერაციაზე პროგრამული წერილები გვიწეროს და შეეცადოს საზოგადოებრივი ატმოსფერის შექმნა პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად.

ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე „კრასნი ვოინის" თანამშრომლის ი. სოლოვიოვის გამოსვლა. მოქ. სოლოვიოვს—როგორც სჩანს—ელემენტარული წარმოდგენა არ აქვს არც გეოგრაფიაზე, არც ეტნოგრაფიაზე, არც იმ პოლიტიკურ სისტემაზე, რომელსაც ფედერაცია ეწოდება.

ჩვენ ვერ გავიგეთ რისი თქმა უნდოდა საჭირო: კავკასიის თუ ამიერ-კავკასიის. წერილს სათაურად აქვს „Федерация Кавказских Республик", შემდეგ კი ლაპარაკია ამიერ კავკასიის ფედერაციაზე და კონკრეტიულად დასახელებულია საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი. რას მიეწერება ერთს ციდა წერილში ამდენი არევ-დარევა?

მოქ. სოლოვიევისათვის სრულიად უცნობია ფედერაციის აზრიც. ის ფიქრობს, რომ საკმაოა ამიერ-კავკასიის ფედერაცია გამოცხადდეს და დაუყონებლივ ბაქოს ნავთი საქართველოში და სომხეთში შემოვა, სომხური მარილი ტფილისსა და ბაქოში, ხოლო მარგანეცი და სიმინდი ერევანსა და განჯაში. ყველაფერი ერთიანდება, მყარდება, სრული ერთიანობა და ჩვენ გვიკვირს ასეთ წყობილებას სოლოვიოვი რატომ უძახის ამიერ-კავკასიის ფედერაციას, ეს ფედერაცია კი არ გახლავთ მოქ. სოლოვიოვო, არამედ ამიერ კავკასიის რესპუბლიკა უნიტარული და არა ფედერატიული.

პირდაპირ გაუგებარი ის არის, რომ სოლოვიოვი ჩვენში ქმნის უნიტარულ რესპუბლიკას და ამავე დროს იმასაც გვიმტკიცებს, რომ საქართველო დამოუკიდებელიც იქნება და ეროვნულად თავისუფალი. თუ როგორ მოხდება ეს საზღაპრო ამბები—პირდაპირ საოცარია. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სოლოვიევის წერილს სარედაქციო შენიშვნა არ აქვს გაკეთებული და მხოლოდ იმას უნდა მიეწერებოდეს, რომ იგი ჯარის ნაწილის ორგანოა მხოლოდ.

კონფერენციას დასჭირდება ასეთ დიდ საკითხებზე მსჯელობა და ისეთი ავტორიტეტული სახელმძღვანელო ორგანოს შექმნა, რომელიც ასეთ დიდ მოვლენებს დიდი ყურადღებით შეხვდება.

საზრუნავი, თავსატეხია მრავალი საკითხი. ჩვენ ვხედავთ ჩვენს გარშემო მეტად გამოუცდელ სახელ. წიფო მუშაკთ, ნაკლებად მცნობთ ჩვენი ქვეყნისას და პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ: ჩვენი მთავრობის სისუსტე მეტად სახიფათოა ჩვენი ქვეყნისათვის.

მხოლოდ სისუსტით, საკითხის უცოდინარეობით შეიძლება ავხსნათ მთელი რიგი საკითხების ისე გადაჭრა, როგორც დღეს არის გადაჭრილი.

ამის საილიუსტრაციოდ საკმაოა აფხაზეთის საქმის დასახელება.

ჩვენს წინაშე პრაქტიკულად სდგას საქართველოს საზღვრების პრობლემა, როგორ უნდა მოვეპყროთ ოსეთს, რა პირობებში მოვაწყოთ სამაჰმადიანო საქართველო, როგორ დავუკავშიროთ დედა საქართველოს არტაანი, შავშეთი, როგორ ვიმუშაოთ ლორის საკითხში, რა პოზიცია საჭიროა რკინის გზებზე. პროფესიონალურ კავშირებში, კოოპერაციაში, კომუნალურ აღმშენებლობაში, პოლიტიკური პასუხისმგებლობა, საბჭოთა სისტემა და სხ.

ბევრს დიდს საქმეში დრ. მთავარმა კომიტეტმა გადადგა გარკვეული ნაბიჯები. ბევრი გაკეთებულია, ბევრი გასაკეთებელია. ჩვენ კონფერენციიდან მოველით ახალ დირექტივებს, ჩვენი ხაზის შეფასებას, ჩვენი საქმის მიღება არ მიღებას.

საჭიროა მთავარი ხაზი, საერთო აზრი, რომ კონფერენციამ პრაქტიკული მუშაობისათვის შექმნას სათანადო პირობები.

მადალი.

# საქართველოს პროფკავშ. საერთო კონფერენციის მოწვევისათვის.

საქართველოს პროფკავშირების საერთო კონფერენციის მომწვევმა კრებამ დაადგინა:

9 ივნისს ქუთაისში მოიწვიოს პროფკავშირების საოლქო კონფერენცია და გაიგზავნოს თითო წარმომადგენელი ადგილობრივ კონფერენციებზე ბორჯომში და სურამში, თელავში და სიღნაღის მაზრებში. ადგილობრივ კონფერენციების მოწვევა დაევალა ამხ. რცხილაძეს. კონფერენციის მოწყობა გორში დაევალა ამხ. კილოსანიძე.

საქართველოს საერთო კონფერენცია

...ასგზავნათ წარმომადგენლების არ...ბი თბილისში მოხდება ცალკე კავ...ბის კონფერენციაზე, დელეგატების ...ერთო კრებებზე. საორგანიზაციო ...ის ტექნიკურ კომისიაში არჩეულ...იან: ამხ. ბოგდანოვი, რუხაძე, და ...ძე, დღიურ წესრიგის საკითხების ...ენებლებათ კონფერენციაზე, ორგანიზაციის ბიურომ დანიშნა: ამხ. ...ლაშვილი—მოხსენება პროფკავში... საბჭოს მუშაობიზე, ოდილავაძე—...ნება კავშირების საორგანიზაციო ...ობების შესახებ, ჯაჭელი და რედ...ვი—მოხსენება სატარიფო საკითხის ...ხებ. ამხ. ტოროშელიძე—მოხსენება ...ხო სამეურნეო საბჭოს მოქმედების ...ებ, ამხ. ერკომიაშვილი—მოხსენება ...სასურსათო საკითხის შესახებ, ამხ. ...ვი—მოხსენება პროფკავშირების შე... ამხ. კოლოსანიძე—მოხსენება კულტურულ—განმანათლებელ მუშაობის შე..., ამხ. მიქაძე—მოხსენება შრომის ...ხო კომისარიატის შესახებ. ამას ... სახელით წაკითხულ იქნეს მოხსენება საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. შემდეგ წაკითხულ ...ება მოხსენებანი ადგილებიდან და ...ფილებათა მოხსენებანი.

## მეაბრეშუმეობის გარშემო

...აბრეშუმეობა საქართველოში დაი... წელს ძლიერ ცუდ პირობებში: ...ტიკურ გადატრიალებამ და საბ...თა ხელის უფლების დამყარებამ მოუ... მეაბრეშუმეობის ინსპექციის გაცხ...ბულ მუშაობას იმ დროს, როცა ...საბრეშუმო სადგურებთან ერთად ...ლგვარ ზომებს იღებდა, რათა რეს...იკის მეაბრეშუმეები უზრუნველ...თ თესლით, მაგრამ მისვლა-მოსვლის საქონლის გადაზიდ-გადმოზიდვის...ლამ, რომელიც გამოიწვია რკინის ...ხიდების გაფუჭებამ. სრულე... შეაჩერა მეაბრეშუმეობისათვის სა... საგნების მომარაგების საქმე ...ინსპექციას დიდი შრომა და ენერ... დასჭირდა, რომ მოენახა გზაში ...რგული თესლით დატვირთული ...ნები, და დროზე ჩაეტანა იგი ...ისში, რომ მოესწრებოდა საბრეგ... სადგურის მიერ მისი შემოწმება ...ხლობა დარიგება. სულ დარიგებულ ...წელს საქართველოს ყველა საბ...უმო რაიონებში 312,000 მისხალი 52,000 კოლოფი თესლი ადგილობ...ვად დამზადებული და უცხოეთიდან ...ტანილი. თესლი უ... იგდებოდა ...ადგილობრივ ორგ ნიზაციებთა...პერატივების, მათი კავშირების) საშ...ლებით; იშვიათ შემთხვევაში თეს... დარიგება ხდებოდა კერძო სავაჭ... აპარატის საშუალებითაც, სადაც ეს ...სათვის საჭირო იყო.

...მცა მთავრობის მიერ დადგენილი ...რომ თესლის დარიგების დრო ...საზღვრული ყოფილიყო პირველ ...ით, რომლის შემდეგ თესლის ყ დვა...დება რესპუბლიკის ფ რგლებში აკრ...ული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცუ...ამინდების და გზების გაფუჭების ...ინსპექცია იძულებული შეიქმნა ...ვა მთავრობისათვის ეს დრო 10 ...მდე გაედიდებია. ზემო აღნიშნული ...დენობა დარიგებული თესლისა ნა...დება საბრეშუმო რაიონებში შე...ხაირად: ქართლში და კახეთში ...თასი მისხალი, ან 5 ათასი კოლოფი თესლი; ზემო იმერეთში შორაპნის ...და ლეჩხუმის რაიონებში—12 ათასი ...ლი 2,000 კოლოფი ქვემო-იმერეთში ...თაისის, ხონის და სამტრედიის რაიონ...—90 ათასი მისხალი. ან 15 ათასი ...ოფი თესლი; გურიაში, საჯავახოში, ...ჩოხატაურის, ოზურგეთის და ლანჩხუთის ...ნებში 37 ათასი მისხალი—14 500 ...ოფი; სამეგრელოში სენაკის, აბაშის, ...ს და ხოდალევის რაიონებში 39 ...ი მისხალი; ზუგდიდის, ხობის წალენ...ს რაიონებში 33 ათასი მისხალი, ოჩამჩირის, დარანდის და სოხუმის რაიონ...ში 5,000 მისხალი, აჭარაში 600-800 ...ამდე. სულ მთელ საქართველოში ...ათასი მისხალი, მეტი ვიდრე წარ... 1920 წელს იყო 100 ათასი მისხა... აღსანიშნავია ის მდგომარეობა ...წელს საქართველოს სოფლის მშრომ... დიდის სურვილით და ხალისით ...ებიან მეაბრეშუმეობას, რაც აიხს...ერთის მხრივ ჩვენში არსებულ ზღაპრულ სიძვირით, როგორც ფართლეულობაზე ისე სოფლისათვის სხვა საჭირო საგნებ სანოვაგეზე, მეორეს-იმით, რომ ინსპექციამ თითქმის სავსებით გაამართლა შარშანდელი დაპირება და მისცა მეაბრეშუმეებს დამატებითი ავანსის სახით ფუთ პარკზე სამი ათასი მანეთი და კოლოფი თესლი. მსურველი თესლის შეძენის და ჭიის გამოკვების იმდენათ დიდია წელს, რომ, მიუხედავათ თესლის შეძენის დროის მეორედ გადიდებისა 10 მაისამდე, მეაბრეშუმეები 15 და 20 მაისამდედაც ეძებდენ თესლს შესაძენად. სამწუხაროთ ამ მხრივ ცუდი სამსახური გაუწიეს ჩვენ მეაბრეშუმეებს უცხოელ იმპორტიორებმა, რომელთაც აპრილის ბოლოს შემოიტანეს სტამბოლიდან 68 ათასი კოლოფი თესლი აზერბეიჯანსა და სპარსეთში წასაღებად, მაგრამ რადგანაც თესლის გადაზიდ გადმოზიდვის დრო უკვე გასული იყო, იგი გზაში გაფუჭდა, ჭია გამოვ და და ტფილისის სადგურზე გააჩერეს ვაგონებში და დაიწყეს თესლის გაცემა კერძო პირების საშუალებით; თუმცა ინსპექციამ თავის დროზე მიიღო ზომები, რომ გამოსულ-გაფუჭებული თესლი არ გავრცელებულიყო, მაგრამ ზოგიერთს რაიონებში მაინც მოახერხეს კერძო პირებმა თესლის გაპარება და დარიგება. სულ დაახლოვებით 24 ათასი კოლოფამდე წადეული ტფილისიდან და დარიგებული. ინსპექციის თანამშრომლებმა ზოგიერთ ადგილებში თავის დროზე მოუსწრეს და თესლი არ დაარიგებინეს. ამ თესლის დარიგების აკრძალვა ყველა საბრეშუმო რაიონების რევკომებსაც ეცნობა დეპეშით.

თავის დროზე დარიგებულ თესლის გამოყვანას მეაბრეშუმეები შეუდგენ აპრილის ბოლო რიცხვებიდან: სამწუხაროდ უმთავრეს საბრეშუმო რაიონებში დასავლეთ საქართველოში—ჭიის გამოყვანა-გამოჩეკას ხელს უშლიდა ამინდები; განუწყვეტელ ზენა ქარებმა ორი სამი კვირის განმავლობაში სრულებით გაანადგურა თუთის (ბჟოლის) ხის ფოთლის მოსავალი, მაგრამ რადგანაც წელს დიდი ზამთარი იყო და გაზაფხულიც გვიან გაიხსნა შესაძლებელია თუთის ფურცლის გამოსავალი კიდევ გამოკეთდეს და ჭიის გამოკვების პირობები შესამჩნევად გაუმჯობესდეს; ამას ხელს შეუწყობს სხვათა შორის ის გარემოებაც, რომ წელს მეაბრეშუმეებს დარიგებული აქვთ იმდენი თესლი, რამდენისათვისაც მათ მოეპოვებათ საყოფი ბინა, საკვები ფურცელი და მუშა ხელი, თუ სხვადასხვაობაში არ მივიღებთ, რასაკვირველია, იმ ზემო აღნიშნულ გაფუჭებულ თესლს, რომელიც მაისში დარიგდა ზოგიერთი რაიონებში. ამ ნაირად პარკის მომავალ მოსავალს ჩვენ თუ ვივარაუდებთ საშუალოს მაშინ ყველა საბრეშუმო რაიონებში მივიღებთ დაახლოვებით 78-ან 80 ათას ფუთამდე ნედლს პარკს, და თუ მოსავალი საშუალოზე მეტი იქმნა მაშინ მივიღებთ 100 ან 120 ათას ფუთს; ამ რაოდენობიდან მეაბრეშუმეებმა, რომ გაიხმარონ თავისი საჭიროებისათვის ჩვეულებრივზე მეტი (10—16 პროც.)—30—40 პროც. და თითქმის ნახევარიც (50 პრ.) მაშინაც ბაზარზე გამოსატანათ დარჩებათ მათ 40—60 ათასი ან 50 ათასი ფუთი ნედლი პარკი, რომლის მოგროვება გამოხრჩოლვა-გაშრობას და გასაღების მოწყობას დღეიდანვე უნდა შეუდგეს მთავრობა.

თუ დატოვებული იქნება საქართველოში არსებული მონოპოლია მეაბრეშუმეობის ნაწარმოებზე—პარკზე, აბრეშუმის ძაფზე და სხვა, მაშინ აუცილებლად საჭირო იქნება, რომ მეაბრეშუმემ ყოველ ფუთზე ნედლ პარკზე გაცემულ ავანსის ნაწილი მიიღოს საქონლით. სახელმწიფომ უნდა მიეცეს ფართლეულობა—საპონი, ასანთი, საკერი ძაფი, მარილი, ნავთი, ტყავი და სხვა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეობის ამ წლის კამპანიის რიგიანათ ჩატარება სავსებით დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ მოაწყობს მთავრობა ზემო აღნიშნულ საქონლის დროზე მიწოდებას და რომ ინსპექციის დაუღალავი შრომამ და მთავრობის აუარებელ ხარჯებმა უნაყოფოთ არ ჩაიაროს, საჭიროა მიღებულ იქნეს სასწრაფოთ ზომები აღნიშნულ საქონლის მომარაგებ—შეძენისათვის. აგრეთვე საჭიროა ამთავითვე შეუდგეს ინსპექცია ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად ფარდულების და სახრჩველ ფეჩების შეკეთება-განახლებას, რადგანაც დიდი ზამთრის გამო ბევრი მათგანი დაინგრა —განადგურდა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ თესლის დამზადების საქმეს ჩვენში, რათა ცოტათ თუ ბევრათ უზრუნველყოფილი იქნენ თესლით მეაბრეშუმეები მომავალ წლისთვის. ამისათვის საჭიროა მობილიზაცია, როგორც მეთესლეობაში საჭირო იარაღებისა, ისე ყველა მეთესლე-ტეხნიკოსების რესპუბლიკაში.

მეაბრეშუმეობის ინსპექტორი
ი. ქუთათელაძე

## ახალი ამბები

— **დღეს, პარტიის მთავარ ბიუროში ხუთს 12 საათზე გაიხსნება პარტიის მეექვსე კონფერენცია.**

— ივნისის 4 ბორჯომ-ბაკურიანში გაემგზავრა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველი და აგრონომ სტუდენტთა ექსკურსია ბოტანიკის კათედრის ასისტენტების ელ. ქიქოძის და ზ. ყანჩაველის ხელმძღვანელობით. ექსკურსიაში მონაწილეობს პროფესორი ა. ა. თვალჭრელიძე.

— **ქერნახულის გადატანის წესი.**- საქართველოს სხვა და სხვა ადგილებიდან ქერნახულის გადატანის მოსაწესრიგებლად სასურსათო სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა: 1) ნება დართულია ყველასათვის გორის და სიღნაღის მაზრებიდან ქერნახულის გატანა, ხოლო თითო ბილეთზე არა უმეტეს სამი ფუთისა. 2) ოზურგეთის მაზრიდან, კერძო მყიდველთათვის აკრძალულია რამდენიც არ უნდა იყვეს გატანა, მაგრამ ამ მაზრიდან ნებადართულია გამოიტანონ პურეულობა მუშებმა და მოსამსახურეებმა. იმ პირობით კი რომ მათ უნდა თან ჰქონდეთ სამსახურის დამადასტურებელი ან წარმოების, ან დაწესებულებების, ან კიდევ პროფკავშირის მოწმობა. ამასთან, მუშას ან მოსამსახურეს პურის გატანის ნება ეძლევა მხოლოდ აღრიცხვის შემდეგ; ლანჩხუთის რაიონიდან ჯუმათისა, ნიგოითისა, სუფსისა, და საჯავახოს რაიონებიდან ლანჩხუთში, ჯუმათში, ნიგოითში, სუფსაში, და საჯავახოში პურის შემოტანისათვის უნდა აღირიცხოს სასურსათო სამაზრო კომიტეტის სათანადო რწმუნებულთან, აქ მიეცემათ მათ მოწმობა, შესაფერი რევკომის ბეჭდით. ნატანებიდან და ქობულეთის რაიონებიდან გატანის დროს—კი სასურსათო სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლთან ნატანების რევკომის ბეჭდით დაბეჭდილი მოწმობის მიცემით.

3) ს. ს. ს. რ. ყველა დანარჩენ ადგილებიდან და მაზრებიდან ქერნახულის გამოტანა ყველასთვის სრულიად თავისუფალია განუსაზღვრელი რაოდენობით და არავითარი ნებართვა არ არის საჭირო.

4) ქუთაისის სამაზრო კომიტეტს ენიჭება ადგილობრივ სულადის და ქერნახულის დაგროვების უფლება. ხოლო იგი არ ვრცელდება ქუთაისისა და სამტრედიის რაიონებში.

— ახალი პიესა. დრამატურგმა შალვა დადიანმა დასწერა ახალი 4 მოქმედებიანი პიესა „მუდმივი შრომა“. პიესა წაკითხულ იქმნა სცენის და ლიტერატურის მოღვაწეთა პატარა წრეში და დიდი ინტერესი გამოიწვია.

— **მოსკოველ მსახიობთა კონცერტი.** ახლო მომავალში კონსერვატორიის დარბაზში დიდი სამუსიკო სალიტერატურო საღამო გაიმართება, მოსკოვის კამერის თეატრის მსახიობთა ვ. პოსოევისა და ვ. ირლატოვის მონაწილეობით.

## პარტიაში

3 ივნისს მოხდა სახ. დაწესებულებების მოსამსახურე პარტიულ ამხანაგების კრება საკონფერენციო დელეგატის ასარჩევად. დაესწრო 65 კაცი. არჩეულ იქმნა 5 დელეგატი. ვინაიდან სახ. დაწ. მოსამსახურეთა ამხანაგების ნამდვილი რეგისტრაცია, სია არ არსებობს, ამიტომ ამ დარგის კავშირს იმდენი დელეგატის არჩევა შეუძლია, რამდენსაც საზოგადოდ ირჩევს ყველა უბანი და კავშირი, ესე იგი ორის.

რომ კონფერენციაზე უეჭველად მიიღოს ამხანაგებმა მონაწილეობა, ამიტომ მოსამსახურე ამხანაგებთან შეთანხმებით ინიშნება დღეს, კვირას, იმავე შენობაში სახ. დაწ. მოსამსახურე ამხანაგების ხელახალი საზოგადო კრება ორი საკონფერენციო დელეგატის ასარჩევად, საღამოს სრულს 5 საათზე.

## რადიო

**გაფიცვა**

**ნაუენი.** მაისის 1. ნორვეგიის მთავრობა ცდილობს გაფიცვა მშვიდობიანი საშუალებით დაათავოს. მთავრობა იღებს ყოველგვარ ზომას წესრიგის და რკინის გზის მოძრაობის დასაცავად.

**კომუნისტების მოწოდება.**

**პარიზი.** „გაზეთი ჰუმანიტე“ აქვეყნებს საფრანგეთის კომპარტიის მოწოდებას, რომელშიაც სხვათა შორის აღნიშნულია: პარტია აცხადებს, რომ მთავრობა, რომლის ხელმძღვანელია მილლენ ქვეყნიერებაზედ ყველა ზედ უფრო საშინელი, ყველაზედ უფრო გონება დაკარგული რეაქცია და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელნი, სრულებით არა ზრუნავს დანგრეულ მეურნეობის აღდგენაზედ. საფრანგეთის მთელი ხალხი მოტყუების მსხვერპლია. მუშებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათ აწევთ ვალდებულება თავის კლასის და ინტერნაციონალის წინაშე პარტია აცხადებს, რომ მას მტკიცეთ გადაუწყვეტია განამტკიცოს საფრანგეთის და გერმანელების კომუნისტების გამაერთიანებელი კავშირი. ორივე ქვეყნის კომუნისტები, შეერთებული ძალ-ღონით იწყებენ ბრძოლას კაპიტალისტთა ოლიგარქიების წინააღმდეგ.

**ვილჰელმის გასამართლება**

**როსტოვი.** 24 5 (დეპეშა) გერმანიის ყოფილი იმპერატორი ვილჰელმი რომელიც ჰოლანდიაში ცხოვრობს, ექს-პრინცი რუპრეხტი ბავარიელი და ადმირალი ტრიპსი გაგზავნეს ლაიპციგში, სადაც მიხდება საერთაშორისო გასამართლება ომის დაწყების დამნაშავეთა.

**ზემო სილეზიაში.**

**როსტოვი.** მდგომარეობა ზემო სილეზიაში ისევ სერიოზულია. კატოვიცი აჯანყებულთა მიერ ალყა შემორტყმულია. ქალაქს არა აქვს წყალი, გაზი და ელექტრონი, ზემო სილეზიაში შექმნილ მდგომარეობის გამო, გერმანიის მდგომარეობა ყოველ დღე უარესდება, რადგანაც გერმანია მოკლებულია ზემო-სილეზიის ნახშირს. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ გერმანიაში მოსალოდნელია მატარებელთა მიმოსვლის შეჩერება, ფაბრიკების მოქმედების შეწყვეტა, და გაზების ქარხნების დახურვა.

**ზემო-სილეზიის ავტონომია.**

**მოსკოვი.** ინგლისის პარლამენტში აღიძრა საკითხი ზემო-სილეზიის ავტონომიის შესახებ.

ზემო-სილეზიაში არსებულ მოკავშირეთა კომისიის წევრი, რომელიც ინგლისის წარმომადგენელია, ოფიციალურად ადასტურებს, რომ ზემო-სილეზიაში პოლონელთა აჯანყება საფრანგეთის პოლიტიკის შედეგიაო.

პარიზის პრესა იუწყება. ბრიტანეთის მთავრობამ ბრიანს შესთავაზა, რათა ზომები მიიღოს დიუსელდორფიდან და რურის ოლქიდან საფრანგეთის ჯარების გამოსაყვანათ.

**ზემო სილეზიასთან კავშირი შეწყვეტილია.**

**ნაუენი.** ზემო-სილეზიასთან ყოველგვარი კავშირი შეწყვეტილია. კატოვიცაში პოლონელები შევიდნენ არტილერიით და ტყვიის მფრქვევლებით. „მორნინ პოსტი“ იუწყება, რომ პოლონეთის ჯარები შეუწყვეტლივ გადადიან ზემო-სილეზიის გახსნით აღმოსავლეთით საზღვრებზე, აჯანყებულები იკავებენ მნიშვნელოვან ადგილებს, რათა დაასწრონ ამ ადგილების დაკავებამ მოკავშირეთა ჯარებს, რომელნიც გამოუგზავნეს წესიერების აღსადგენად, პარიზის ცნობებით, რომ ზემო სილეზიაში შევიდნენ გერმანელი მოხალისენი მტკნარი სიცრუეა. ვილნიდან სილეზიაში გაგზავნეს 4 ბათალიონი და და ორი ბათალიონი ინგლისიდან.

თემთა პალატაში ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ზემო ზილეზიის მოსახლეობა მოვალეა მოუტანოს ხოლმე სურსათი ინგლისის ჯარებსო.

**ინგლისი და სილეზია.**

**ნაუენი,** ინგლისის პრესა ამტკიცებს, რომ ლოიდ ჯორჯის ქცევა მოასწავებს ინგლისის პოლიტიკის სრულიად შეცვლას. ნახევარით ოფიციალური პრესა ეჭვს გამოსთქვამს, რომ ანტანტა გაუძლებს ამ ახალ გამოცდას მაგრამ მაინც იმედოვნებს, რომ საფრანგეთი შესცვლის თავის პოლიტიკას.

**150 მილიონი მარკა.**

**ნაუენი;** მაისის 27 გერმანიის წარმომადგენელმა ნიუ-იორკის ერთ ერთ ბანკში შეიტანა 150 მილიონი მარკა ოქროთი—საფრანგეთისა თვის გადასაცემათ.

**მოკავშირენი და აღმოსავლეთის საკითხი**

**ბათომი.** გაზეთ „ტაიმსი“-ს ცნობით, მოკავშირენი ოდნავადაც არა ფიქრობენ განიხილონ აღმოსავლეთის საკითხი რადგანაც ამ საკითხს ისინი თავის კომპეტენციის გარეშე სთვლიან მას შემდეგ, რაც ანატოლიაში სამხედრო მოქმედებანი განახლდა.

**საბერძნეთ-ოსმალეთის ომი.**

**ბათომი.** ანგორის ოფიციალური ცნობა. მაისის 28 კოჯა რაიონში ჩვენი მზვერავთა რაზმი მიუახლოვდა მოწინააღმდეგის გამაგრებულ ადგილებს, დაუწყო სროლა და მოჰკლა რამდენიმე კაცი. კარპანუშის რაიონში მოწინააღმდეგის უკან დახევის დროს ჩვენმა ნაწილებმა იერიში მიიტანეს მათს არიერგარდზე. უკან დახევის დროს მოწინააღმდეგე სცემდა და ძალადობას ხმარობდა მცხოვრებლებზე. ადანის და მესოპოტამიის ფრონტზე სიწყნარეა.

**მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები.**

**ნაუენი.** ივნისის 1. იტალიის სოციალისტური გაზეთი „ავანტი“ იტყობინე-


# განცხადება

კვირას, ივნისის 5-ს, დილის 11 საათზე, ხელოვანთა სახლეში (სერგიევის ქ. № 13) დანიშნულია

## საქ. ხელოვანთა
## საერთო კრების გაგრძელება.

განსახილველია კავშირის წესდება. ყველა ქართველ ხელოვანს მთავარი კომიტეტი სთხოვს უეჭველად დაესწროს.

1083 პრეზიდიუმი.

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის უწყების ქვეშ მყოფი
პირველი ქართული საბუღალტრო კურსები

## ალ. გ. საათაშვილისა

მიიღებიან ყველანი წლოვანობის განურჩევლად. პირობის გაგება შეიძლება დილის 9—12 საათ. და საღამოს 4—7 საათზე. მისამართი: დუშეთის ქუჩა, სახ. № 9 (1-ლი რაიონი) წყნეთის ქუჩასთან ახლოს, ტრამვაი № 5. 1103

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა დაწვრილებით ცნობებს იმ გრანდიოზული დემონსტრაციების შესახებ, რომელიც პარიზში მოხდა, საფრანგეთის იმპერიალისტური და ყაჩაღური პოლიტიკის წინააღმდეგ. მსვლელობაში მონაწილეობა მიიღო 100,000 კაცზე მეტმა 30 ორატორი მოუწოდებდა ყველას შეერთებულიყვნენ ბურჟუაზიის ბოროტი პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც საფრანგეთის ხალხი დაღუპვისაკენ მიჰყავს. როდესაც დემონსტრანტების დიდი პროცესია მივიდა ქალაქის ცენტრალურ ნაწილთან, ცხენოსნმა პოლიციამ მოინდომა მათი შეჩერება, დაიწყეს სროლა რევოლვერებით, სცემდენ დემონსტრანტებს ხმლებით და კონდახებით საფრანგეთის მთავრობა ამ შემთხვევების შესახებ სდუმს. სამსახურისათვის გამზადებული ტელეგრამის სააგენტოებმა მიიღეს ზომები, რომ ევროპამ არაფერი გაიგონ პარიზის ამბების შესახებ.

**აღმოსავლეთის ახალი კონფერენცია.**

**სტამბოლი.** 9—5. გაზ. „პრომჟედენია" იუწყება: იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი სფორცი, იმუშავებს პროექტს ახალი კონფერენციისათვის, ახლობელი აღმოსავლეთის ყველა საკითხის გადასასინჯავად და საბოლოოდ გადასაწყვეტად. ეს კონფერენცია შეიძლება მოწვეული იქნეს ოსტენდაში. ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება არა მარტო ანტანტის სახელმწიფოები, არამედ ამერიკაც. ლოიდ-ჯორჯს კონფერენციის მოწვევისათვის დრო შესაფერისად არ მიაჩნია ანატოლიაში სამხედრო მოქმედების გაგრძელების გამო.

**ინგლისი და აღმოსავლეთის საკითხი**

**სტამბოლი.** 9—6. ოსმალეთის პრესა იუწყება, რომ აღმოსავლეთის ამბები ინგლისში მეტად დიდ ინტერეს იწვევს. ინგლისის მთავრობას საზრუნავად გაუხდია რაც შეიძლება ჩქარი აღდგენა ზავისა და საბერძნეთ ოსმალეთს შორის შეთანხმების საფუძველს ეძებს.

**კომუნიზმის ზრდა.**

**მადრიდი.** მადრიდში ჩამოყალიბდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი რომელმაც გაგზავნა პროვინციაში პასუხისმგებელი პარტიული ამხანაგები ადგილობრივ სექციების მოსაწყობად. ც. კ. აფართოვებს თავის მოღვაწეობას. მადრიდში გამოდის პარტიის ცენტრალური ორგანო სახელწოდებით: „სოციალური ომი" სოციალისტურ პარტიის ყველა ორგანიზაციებს გაეგზავნათ ცირკულიარი მოწოდებით კომუნისტურ პარტიაში შესვლის შესახებ. კომუნისტების გავლენა ესპანეთის პროლეტარიატის ფართო წრეებზედ ყოველ დღე იზრდება, რადგანაც ესპანეთის მუშებმა საბოლოოდ დაჰკარგეს რწმენა სოციალისტების მიერ ნარჩევ ბრძოლის წესებში.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

**დაკარგე** პასპორტი ეკუთვნის მენაძესძე ბიბიაშვილის [illegible] ფ. მილიციიდან აღებული რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1102

**დაიკარგე** პასპორტი მიღებული მოლითის მილიციიდან გიორგი დამბაშიძე რაიც ითვლება გაუქმებულად. 1099

კბილის ექიმმა
**აპოლონ ურუშაძემ**
განაახლა ავადმყოფების მიღება 9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13, ბინა 1. 29

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურად ხიფილისი (914 და 606) სქესობრივი უძლურება, ვენერიული ხურხუნათი და შარდები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფები მიიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ქ. ლანჩხუთში.
ექიმი
**ოლღა ხოფერია**
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს.
კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

ღრმა მწუხარებით გულმოკლულნი დები: ბარბარე და ნადეჟდა, და ძმები: კონსტანტინე, ნიკო, სიკო, მათე—თავიანთ ოჯახებით—და ლადო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მაისის 2 ს ქალაქ რიაზანში ტყვეობაში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი საყვარელი და დაუვიწყარი ძმა, საქართველოს ხანაპირო რაზმის უფროსი

**გენერალი სტეფანე ახმეტელაშვილი**

პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, თიბათვის 5-ს, შუადღის 12-ს. სამხედრო ტაძარში. 1088

დიდის მწუხარებით გულდათუთქული დისწული თამარი, დედამისი ბარბარე, მეუღლე ალექსანდრე, ვაჟიშვილი და ქალიშვილები: თინა და მარგო თუმანიშვილები იუწყებიან მათთვის საყვარელ და დაუვიწყარის, სამშობლო სიყვარულისათვის და მოვალეობის ასრულებისათვის დასჯილის

**გენერალ სტეფანე გიორგის ძე ახმეტელაშვილის**

ტყვეობაში გარდაცვალებას. პანაშვიდი კვირას, თიბათვის 5, შუადღის 12 საათზე, სამხედრო საკრებულო ტაძარში. 1088

დიდის მწუხარებით აღვსილი სიძე მიხეილ შალამბერიძე მეუღლით ივლითი (ნადეჟდა) და შვილებით: შალვა, ამირანი და ცქრიალათი იუწყება ხალხისათვის ერთგულ და სამშობლოსათვის თავდადებულ, ძვირფას და საყვარელ ცოლის ძმის, პირველ რევოლიუციონერ

**გენერალ სტეფანე ახმეტელაშვილის**

ტყვეობაში, ქალ. რიაზანში, მაისის 2-ს გარდაცვალებას. პანაშვიდი კვირას, თიბათვის 5, შუადღის 12 საათზე; სამხედრო საკრებულო ტაძარში. 1088

ღრმად დამწუხრებულნი: ძალუა თაკიკო გრიგოლის ასული ახმეტელაშვილი შვილებით; ვანო, კატო, რომანა, გიგა, ელენე და გიორგი, რძლები და შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მაისის 2-ს, რიაზანში უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**გენერალი სტეფანე გიორგის ძე ახმეტელაშვილი**

წირვა და პანაშვიდი კვირას, მაისის 5 ს სამხედრო საკრებულო ტაძარში. 1095

მაისის 2 ქ. რიაზანში გარდაიცვალა გენერალი

**სტეფანე გიორგის ძე ახმეტელაშვილი**

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ განცვიფრებულის ბიძაშვილები დავით, ილია, ალექსანდრე გიორგი და ეკატერინე ახმეტელაშვილები და სიძე გრიგოლ მიხეილის ძე მუხაძე. პანაშვიდი გადახდილ იქნება სამხედრო სობოროში ივნისის 5, 12 საათზედ. 1097

1 ივნისს ს. ო. ფ. ყვირილთან ტრაგიკულად დაიღუპა პირველი ქართულ ცხენოსან ლეგიონის მწყობრის თავი ძვირფასი და დაუვიწყარი

**იასონ ივანეს ძე ჯანდიერი**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ დედა თამარა გიორგის ასული მამა ივანე ალექსანდრეს ძე ჯანდიერები, ძმები: გიორგი მეუღლით ანასტასია დავითის ასული, შვილი ვახტანგი, ნიკოლოზ, კოტე, დები: თინათინა, ვენო, ნინო, ლიზა და მარიამი ჯანდიერერები სიძეები ევგენი მენშიკოვი და დიმიტრი მიხეილის ძე ქიქინაძე. პანაშვიდი ყოველ დღე სად. 5 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. ყაჩაღების მიერ ვერაგულად მოკლულ იქმნა. დაკრძალვა მოხდება შაბათს ივნისის 7. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. გამოსვენება წირვის შემდეგ ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე დასაკრძალავად. 1104

ნინა ამბაკოს ასული და სტეფანე ალექსისძე ჯიბლაძე მწუხარებით აუწყებს ნათესავთ ნაცნობებს ძვირფასის და დაუვიწყარის პირველი ქმრისა მეორე სიძესი

**ივანე პავლეს ძე რეხვიაშვილის**

გარდაცვალებას პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში საღამოს 6 საათზე გამოსვენება კვირას ივნისის 5 11 საათზე დაკრძალვა წმიდა ნინოს სასაფლაოზე. 1093

ღრმად დამწუხარებულნი დედა მარიამ ალექსის ასული ფიშკოვისა და მეგობრები ნინო გაგლოშვილი და მაგდო კლიმიაშვილი აუწყებენ მეგობრებს და მასწავლებლებს, რომ ორმოცის წირვა დაუვიწყარ

**კოკო (თამარ) ჯმუხაძისა**

გადახდილ იქნება კვირას ივნისის 5 დილის 10 საათზე მამადავითის ეკლესიაში. 1100

გულდამწვარი მამა ბეჟანი, დედა გერვასი დები: მენიკო ვერა და ცუცუკო: ძმები კუკუში და ბიკენტი ფირცხალაიშვილები სიძე მიშა და დისწული მიტო წივწივაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ სტუდენტი

**ვლადიმერ ფირცხალაიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა მოხდება ქ. ლანჩხუთში წმ. გიორგის ეკლესიაზე შაბათს 7 ივნისს. 1001

ქმარი ლუარსაბ ალექსანდრეს ძე, დედამთილი ნინა ზაქარიას ასული და მული მარიამ ალექსანდრეს ასული ყუბანეიშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავ და ნაცნობთ რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულის

**ელენე ტერენტი ქავთარაძის ასულის ყუბანეიშვილისა**

იქნება კვირას 5 ივნის კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე. 1094

**სახელმწიფო ოპერის თეატრი**
ხუთშაბათი ივნის 8 ს.

# გრიშაშვილის საღამო

1
პროფესორი
**შალვა ნუცუბიძე** წარმოსთქვამს სიტყვას: „რევოლიუცია და საქართველო"

2.
მორდკინის, პოჟიცკაიას, სემიონოვას და სხვათა მონაწილეობით გაიმართება ქორეოგრაფიული

**შუშპრობა**

ბ-ნ მორდკინის მიერ, სხვათა შორის, სცენაზე განსახიერდება ი. გრიშაშვილის ლექსი: „ზღაპარი გამაკში" ხოლო ქ-ნ სემიონოვა შეასრულებს ახალ ქართულ ცეკვას „სამშობლო"...

3. 4.
**დეკლამაცია, მუსიკა.**
გრიშაშვილის ლექსებს იმღერებენ და წარმოსთქვამენ
დეკლამატორები:
ვერიკო ანჯაფარიძე—„უძილო ღამე"
დონაური—„რა კარგი ხარ, რა კარგი!"
ცუცა ამირეჯიბი—„ყურთბალიში"
ალისა ქიქოძე—„არა, უნდა გაგებუტო!"
ალ. იმედაშვილი—„ახალი ღმერთა"
მიხ ჭიაურელი—„ტრიოლეტები შეითანბაზარში"
ნიკ. გოცირიძე—„ჩემი მოგზაურობა"
ი. გრიშაშვილი—„გაგაცილე და.."
მომღერლები:
გ. ხიხარულიძე—„თეთრი ვარდი" (მუსიკა. ია კარგარეთლისა).
თ. მელ.-უხუცესისა—„რა კარგი ხარ, რა კარგი"!
(მუსიკა ქ. მელ.-უხუცესისა)
ი. ხარაჯიშვილი—„რა გინდოდა" (მუს. თ. შავერზაშვილისა)
ა. ინაშვილი—„შენ" (მუს. ვ. დოლიძისა)
დასასრულ:
თაგუნა—„გრიშაშვილის მუზა"

**აკომპანიმენტი**
როიალთან:
თ. შავერზაშვილი,
ა. ხიხარულიძისა.
ქ. მელვინეთ-უხუცესი.
პიანინოთან:
ა. ოშანეზაშვილი.
რეჟისორი:
ალ. წუწუნავა
ადმინისტრატორი:
შ. აფაქიძე

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.
ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.
ბილეთები ამ თავითვე იყიდება მხოლოდ თეატრის კასაში.

**მიიღება ხელის მოწერა „სოციალისტ-ფედერალისტზე"**
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 5000 მან. ცალი 200 მან.

**დაკარგულია**
დაკარგულია გრიგოლი (გრიშა) პეტრეს ძე კეკელია. ერთი წელიწადი [illegible] დება რაც სამუშაოდ წავიდა და არავითარი ცნობა არა გვაქვს და თუ [illegible] რამე იცით შეგვატყობინეთ. მისამართი მუხრანის ქ. № 7 ალექსანდრე ლაზიაშვილს. [illegible]

უოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
**ამზადებს**
საზაფხულო განმეორებითი გამოცდებზე:
მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე.
მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 3—6 ს. 1081